

„დღეს საქართველოში ცოტას ნახავ კაცს, რომელსაც  
კამათის ან ჩვეულებრივი ბაასის კულტურა ჰქონდეს.  
არავის არ შეუძლია თანამოსაუბრის აზრის მოსმენა და  
ამიტომ ნებისმიერ საზოგადოებაში ყველა ერთად ეა-  
ყანებს. ერთობ დამაფიქრებელი სიმბტომია“

ბახათაძიდან



03 ლისი

1988

13

ISSN 0132-6015

მეცნიერება

— ანათ რის თქმა უნდათ?  
— დირექტორის მოხსნას მორითოვან, მავ-  
რამ ყველა ერთად ლაპარაკობს და სწორთ  
აზრი ვერ გამოაქვთ!..

**შეკითხვა:** მე, გიორგი ზაქარიას ძე გრძელიშვილს, საგარეჯოს რაიონის სახალხო სასამართლოს 1988 წლის განაჩენით ბრალი დამედო იმაში, რომ მეგობარ შოთა ქურხულისაგან ვინათხოვრე ავტომანქანა „გაზ-69“, ღამით მივედი საგარეჯოს მევენახეობის საბჭოთა მეურნეობის ღორების ფერმაში, შევადნე მავთულებით შემოღობილ ღორების სადგომში და მცირეკალიბრიანი შაშხანით, რომელსაც უნებართვოდ ვატარებდი, მოვკალი სამი დედა ღორი (1328 მან. და 60 კაპ. ღირებულებისა), რის შემდეგ თოხის დარტყმით სიცოცხლე მოვუსპე 9 გოჭს (500 მან. და 10 კაპ. ღირებულებისა), უდედოდ გოჭების დატოვება შემეცოდა, ჩავყარე ტომარაში და ღორებთან ერთად წავიღე ავტომანქანით.

სახალხო სასამართლოს განაჩენით შე-

მეფარდა 3 წლით თავისუფლების აღკვეთა, რაც შემეცვალა პირობით, იმავე ვადით შრომაში სავალდებულო ჩაბმით.

სასამართლოს განაჩენი ჩემს მიმართ მკაცრია. სასამართლომ არ გაითვალისწინა ის, რომ ჩემ მიერ დახოცილი დედა ღორები ძალიან გამხდრები იყვნენ, როდესაც ჩამომართვეს და მათ გაუკეთდათ რეალიზაცია, 1328 მანეთისა და 60 კაპიკის ნაცვლად ამოღებულ იქნა მხოლოდ 804 მან. და 10 კაპ.

სასამართლომ ჩემ მიმართ სასჯელის დანიშვნისას შემამსუბუქებელ გარემოებად არ გამოიყენა ის, რომ თოხით გოჭების დახოცვისას ძალიან გავწვალდი, რაც იმით გამოიხატება, რომ ღამით თოხით ხელში გოჭების დახოცვა გამძინელდა, მათ დევნაში დავიღალე, სიქა გამძვრა.. გო-

ჭების ხოცვისას რამდენიმეჯერ დავეცი, ტანსაცმელი დამესვარა და მეზარალა..

**პასუხი:** სასამართლოს განაჩენი თქვენ მიმართ კანონის შესაბამისია. ამავე დროს სასამართლოს არ შეეძლო გასცილებოდა კანონის ფარგლებს და თქვენთვის ეპასუხა დელიკატურად. ჩვენ კი შეგახსენებთ ქართულ ანდაზას: „ღამის ქურდს დღისით დაიჭერენ“ და კიდევ: „ღორის თავი ხალიჩაზე დადეს და მაინც ლაფში გადაგორდაო“. ვისაც ეს ანდაზები ეხება, ვფიქრობთ, მიხვედრა არ გაგიჭირდებათ!..

**პასუხი მოამზადა საქართველოს სსრ იუსტიციის სამინისტროს უფროსმა კონსულტანტმა**

**ჯაალ მესხინისერმა**

ნახ. ბ. ზუგაშვილისა



# თქვენს სომ არ გეუნობათ?

ულრან ტყეში ოდესღაც (შეიძლება ახლახან!) ვინღა აღარ ცხოვრობდა — ჩუმჩუმელა, რახრახა!.. ვინღა აღარ ცხოვრობდა — ღმუილა თუ დუმილა; საქმიანი, უსაქმო, მართალა თუ ტყუილა!.. ჰოდა, რაკი ტყე იყო, ცხოველებიც სახლობდნენ ერთმანეთის ახლო და ერთმანეთის მახლობლად. ლომი აქაც ლომობდა (ლომს ლომობა უნდოდა!), შავი მაიმუნი კი ისევ მაიმუნობდა!.. მაიმუნის საქმეა ხტუნვა, ცმუკვა დღემუდამ, თავის მსგავსი თუ ნახა, მაიმუნსაც ეგ უნდა! სძულდა ჭირის დღესავით ავაზა თუ მელია, ლომიც, ვეფხვიც, ბულბულიც, სხვაც, რასაკვირველია! სიტყვით, საქმით, ქმედებით კარგს არავის უქადდა, ყველა სძულდა!.. მთელ ტყეში მარტო თავი უყვარდა! ტრახახობდა: „ჩემით წვიმს, ჩემით დგება დარიო, ჩემი ღირსი ამ ტყეში ერთიც კი არ არიო! ლომთან საქმელს როგორ ვჭამ?! ვეფხვს არც გავცემ ხმასაო!


ბულბულებთან ვიმღერო?! გავუტოლდე სხვასაო?! ტყეში მე რომ არ ვიყო, ვერც ისუნთქებთ, იცოდეთ, მე ამ ტყეში კი არა, დიდ ტყეებშიც მიცნობენ! ჩემი მოდგმა და ჯიში არის სულ სხვა ელიტა, ამ კოლექტივს კი არა, მის ერთ წევრსაც ვერ ვიტან! მაგათთან ვინ დაჯდება, მაგათთან ვინ გაივლის?.. ღმერთო, რატომ გამზარდე ამ ბარდნარში ყვავილი?!... მაინც ერიდებოდნენ, ყველა კარგად იცნობდა, მისი ენის ამბავი ვინღა აღარ იცოდა!.. ყველა დუმდა!.. დუმილით სარგებლობდა ჭარტალა; თავის თავი ღმერთად და ყოვლისშემძლედ ჩათვალა! აგრძელებდა კონცერტებს გრეხითა და მანჭვითა, მაგრამ ერთხელ მაიმუნს კოლექტივი დასჭირდა!.. სამ-ოთხ დღეში დანერა (რა თხზულება, რა თემა!) დახასიათება და რა დახასიათება!.. ლომს მიართვა ბეჭდისთვის: „ნუ გამწირავ მოძმესო!“ ლომმა უთხრა: „დასტური კოლექტივმა მოგცესო!“ გაიტანეს საკითხი, მთელ ტყეს გული უღელავს... ხმას არ იღებს არავინ, დუმს, დუმს... დუმს, დუმს სუყველა!..

გადის წუთი!.. წუთები!.. გადის მთელი საათი!.. სანამ სათქმელს იტყოდნენ, მე ერთს გკითხავთ მანამდე: მსგავსი მაიმუნისა, შხამიანი ლენცოფა, თქვენთანაც სომ არ არის? თქვენაც სომ არ გეცნობათ? ავთანდილ ბურბანიძე

## ბარდაქმნილი ანდაზები, ანუ ა-ნუ სით მოხვალ

- ააზრინე ა ლ ა ი ო — დღეს რომ ფრენა არ არიო?
- აბრე ა რ უნდა თაყაო, შენ რომ ბინები გაყაო!
- ადგილის კ უ რ დ ლ ე ლ ს, საცოდავ კურდღელს, ბრაკონიერი დააყრის ცუდ დღეს.
- ავაღმყოფი რომ მორჩება, ტაქსისთვისაც არ მორჩება.
- ავია თუ კარგიაო, ბარგი მაინც ბარგიაო.
- ავი კ ა ც ი აქეო და გაექეც თავქვეო!
- ავი კ ა ც ი აღდგომასაც დაგიპირებს დამხობასა!
- ავი შ ვ ი ლ ი მამასაო არ დააცლის ჭამასაო.
- ამირან გ უ ლ შ ი მღეროდა და კონტრაქტს ისე ელოდა.
- არა შეჯ და მწყერი ხესა — ხე ხომ ძირში მოხერხესა.
- არ ვიყავი რძალი კარგი და ამიკრეს კიდევ ბარგი.
- ასე ჩემო მანასეო, დღეს ისე თქვი, ხვალ — ასეო!

შეკრება ე. თამაზაშვილმა



დეზინიტი — სპეკულაციის წყარო

## პირის ვაძრუთ, ქაუკეთო

სკოლაში თუ არ უსწავლია, კინოფილმ „დავით გურამიშვილიდან“ მაინც დაამახსოვრებოდა კაცს დიდი დავით გურამიშვილის სულისშემძვრელი-სტრიქონები, რომლებითაც მან ქართულთა მეფე ვახტანგ მეექვსე გამოიტყა: „ვაი, რა ბოძი ნა-გვექცა...! ლხინი, შვება და სიამე სულ ჭირად გარდაგვექცაო!..“ ქუთაისის ცენტრში, არაყიშვილის ქუჩაზე მდებარე (აჯობებდა, „მდგომარე“ რომ გვეთქვა!) მეთუე ნომერ სახლს რომ ბოძი კაი ხნის გამოცლილი აქვს, ეს ყველამ კარგად ვიცით, მათ შორის მესამე საბინაო სამმართველომაც, მაგრამ როდესაც მივმართავთ ხოლმე, სულ ერთსა და იმავეს იმეორებენ: ამ თვეში თუ არა, იმ თვეში დავიწყებთ სახლის რემონტს და ორ-სამ დღეში მოვრჩებითო!.. როგორც მე არ ვყოფილვარ, რაც დავიბადე, ექიმთან, ისე ჩვენს სახლს არ გაჰკარებია შემკეთებლის ხელი მას შემდეგ, რაც აშენდა. ამიტომაც გვიკვირს: ასე დაუსრულებლად როგორ დაადგინეს, რაადენ დღეში მოვრჩებიან რემონტს? თუმცა მეც ერთ ანდაზასავით მემართება: ჯერ ბავშვი არ დაბადებულა და პავლეს არქმევდნენო!.. ამხანაგებო, კარგი რამ არის დაპირება, მაგრამ მარტო დაპირებით ეშვებოდა საქმეს?! ბევრი ვიფიქრეთ თუ ცოტა, ერთი აზრი ჩვენც დაგვებადა: მომავალი თვიდან ბინის ქირას ჩვენც დაპირებით გადავიხდით ხოლმე. თუკი ვინმე ისეთი აღმოჩნდება ჩვენს სახლში, რომ ქირის გადახდას არ დაჰპირდება სახლმმართველობას, ადგნენ და დააჯარიმოს, ჩვენ ხომ... უკაცრავად, მამატივით, ტელეფონი რეკავს: ალო, გისმენთ! რა ბრძანეთ? ბინის ქირა გვაქვს გადასახდელი: რამდენი ხნის? სამი თვის? კი, ბატონო, პირობას გაძლევთ, გადავიხდით, ამ თვეში თუ არა, იმ თვეში აუცილებლად! პრივეტ!

ტიტა ქავთარაძე, ნინავის კორესპონდენტი.

# დღეისათვის

## ქვეყანა


დარბაზში ტყეა არ იყო!.. დღეს აქ მეცნიერებაში პირველ ნაბიჯებს დგამდა ცნობილი მწველავისა და უცნობი მწერლის, სახელმწიფოებრივი საზოგადო მოღვაწის ტიტე ანკარუნაშვილის კარის მეზობელი და სტუმრის დროს მისი ოჯახის მუდმივი თამადა ჯაყო ფულავა, მის სადისერტაციო თემას შეადგენდა „მწვანე მწველავის აღმოჩენისა და დანერგვის პერიოდი ადამიანის ცხოვრებაში“. — ამხანაგებო! — დინჯად დაიწყო მან, — თქვენ, ყველანი თვალს ადევნებთ რესპუბლიკურ, საკავშირო, სახელმწიფოებრივ პრესას და კარგად იცით, რა სარგებლობა მოაქვს მწვანის დღეს ადამიანისათვის, ამიტომ მე ამ საკითხზე აღარ შეეჩერდები. — ჩაახველა, ნიახურის ფერი ცხვირსახოცით ტუჩები მოიწმინდა და განაგრძო: მწვანე მწველავი ნელთაღრიცხვამდე ათეული საუკუნეებით ადრე აღმოაჩინა ადამიანმა, — მაშინ, როცა გაბატონებული კლასის მწავრელებისაგან იძულებული ხდებოდა მცენარეულის ფესვებით და ქვეშინაყარი, გაურეცხავი, გაუფტქვენილი ხილით გამოკვებილიყო. მაშინ ადამიანმა არ იცოდა სოუსის, ჩიხირთმის, ჩაქაფულისა



და სხვა ნუგბარი კერძების დამზადება, არც სათბურები ჰქონდათ და ჩვენსავით ზამთარ-ზაფხულ ვერ მიირთმევდნენ მწვანისა და მით დამწვენებულ საჭმელებს!.. დარბაზი სულგანაბული და ნერწყვმომდგარი მისჩერებოდა დისერტანტს. — მომდევნო საუკუნეებში, უფრო მეტად ჩვენი ნელთაღრიცხვის პერიოდში, მწვანე მწველავი მოხმარების საგნად იქცა, მაგრამ მეოცე საუკუნეებში თითქმის არაფერი იცოდა მისი ფასი. დიას, ამხანაგებო, აბა, შეადარეთ დღევანდელი საბაზრო ფასი გასული საუკუნეების ბაზრებში გამოტანილი მწვანის ფასებს! სად ნახავდით, რომ კონა ათი შაური ან სამი კონა მანეთი ღირებულიყო? ეს მაშინ, როცა თითოეული შეკვრა, დიდი-დიდი, ასე გრამი თუ გამოვა!..

მსმენელთა რიგებში ჩოჩქოლი მოისმა. ვილაც ჩია კაცი წამოდგა და ყველას გასაგონად რეპლიკა ესროლა ჯაყოს: — თქვენ ალბათ ხილ-ბოსტნეულის მალაზიებიდან ძალიან შორს ხართ, თორემ მაგას არ იტყოდით! — მალაზიაში გამოტანილი შენ იყიდე! — შენ ცოლ-შვილს აჭამე! — მიაყარეს აქეთ-იქიდან. ფულავამ კი მშვიდად აუხსნა: — ამხანაგო, მალაზიის ბოსტნეული, ჯერ ერთი, რეზინივითაა, მეორე, გამყიდველი გატყუებს წონაშიც, ფასშიც, ხურდაშიც და, შესამე, ნახევარს მიწას გატანენ!.. — მიწა დაეყაროთ იმათ გულზე! — ამოვიგინა ვილაც ქალმა. მარცხისაგან დარცხვენილი ჩია კაცი მობუზული დაჯდა და სულ მალე შეუმჩნევლად გაიპარა. შემდეგ დაიწყო კამათი, თუ რომელი მწვანე მწველავი სჯობდა დანარჩენებს, და ვინ იცის, რით დამთავრდებოდა, ისევ ბაზრის ფასები რომ არ მოეშველიებინათ. ბოლოს ერთმანდად დამტკიცდა ჯაყო ფულავას გამარჯვება! — ამხანაგებო, გაუმარჯოს პირველყოფილ ადამიანებს და თანამედროვე გლეხებს, რომლებმაც აღმოაჩინეს და დააფასეს მწვანე მწველავი! — აღფრთოვანებით შესძახა ჯაყომ და ოხრახუშამოქარგული ჰალსტუხი შეისწორა. ჯაყოს ნათესავ-ნაცნო-მეგობრებით გატენილი დარბაზი ოვაციებით შეხვდა ამ ლოზუნგს და უკვე მეცნიერებათა კანდიდატს ოხრახუშისა და წინაკის თაიგულეები მიართვეს, რომლებიც მან იმავე საღამოს თავისი ხელით ჩააჭრა ბატონის ჩაქაფულში.

მსმენელთა რიგებში ჩოჩქოლი მოისმა. ვილაც ჩია კაცი წამოდგა და ყველას გასაგონად რეპლიკა ესროლა ჯაყოს: — თქვენ ალბათ ხილ-ბოსტნეულის მალაზიებიდან ძალიან შორს ხართ, თორემ მაგას არ იტყოდით! — მალაზიაში გამოტანილი შენ იყიდე! — შენ ცოლ-შვილს აჭამე! — მიაყარეს აქეთ-იქიდან. ფულავამ კი მშვიდად აუხსნა: — ამხანაგო, მალაზიის ბოსტნეული, ჯერ ერთი, რეზინივითაა, მეორე, გამყიდველი გატყუებს წონაშიც, ფასშიც, ხურდაშიც და, შესამე, ნახევარს მიწას გატანენ!.. — მიწა დაეყაროთ იმათ გულზე! — ამოვიგინა ვილაც ქალმა. მარცხისაგან დარცხვენილი ჩია კაცი მობუზული დაჯდა და სულ მალე შეუმჩნევლად გაიპარა. შემდეგ დაიწყო კამათი, თუ რომელი მწვანე მწველავი სჯობდა დანარჩენებს, და ვინ იცის, რით დამთავრდებოდა, ისევ ბაზრის ფასები რომ არ მოეშველიებინათ. ბოლოს ერთმანდად დამტკიცდა ჯაყო ფულავას გამარჯვება! — ამხანაგებო, გაუმარჯოს პირველყოფილ ადამიანებს და თანამედროვე გლეხებს, რომლებმაც აღმოაჩინეს და დააფასეს მწვანე მწველავი! — აღფრთოვანებით შესძახა ჯაყომ და ოხრახუშამოქარგული ჰალსტუხი შეისწორა. ჯაყოს ნათესავ-ნაცნო-მეგობრებით გატენილი დარბაზი ოვაციებით შეხვდა ამ ლოზუნგს და უკვე მეცნიერებათა კანდიდატს ოხრახუშისა და წინაკის თაიგულეები მიართვეს, რომლებიც მან იმავე საღამოს თავისი ხელით ჩააჭრა ბატონის ჩაქაფულში.



**ბანცხადება**  
ავტორი „ჭიგულის“  
გვლოკალთაძის

როგორც თბილისის, ისე სხვადასხვა რაიონების ავტომალაზიებში, მოსალოდნელია „ჭიგულის“ საბურავების მიღება. ვინაიდან გსურთ რომ შეიძინოთ, გთხოვთ სასწრაფოდ ჩაენეროთ სამბოს, ძიუდოს, კრივის ან კარატეს სექციებში; აუცილებლად იშოვოთ მოტოციკლისტი, მეხანძრის ან

ტანკისტის სათვალე, ჩაჩქნები და კომბინეზონები!.. პარალელურად ოჯახის რიგულში წვერი ასევე სასწრაფოდ გააგზავნეთ სამედიცინო პირველი დახმარების შემსწავლელ კურსებზე. სწავლების დამთავრების შემდეგ თან იქონიეთ შინა დასადასტურებელი ცნობები! როგორც კი შეგატყობინებენ საბურავების მიღების ამბავს, კარგად გამოემევიდობეთ ოჯახის წევრებს (რა თქმა უნდა, იმის გარდა, ვინც სამედიცინო სწავლება გაიარა, — იგი თან უნდა წაიყვანოთ) და დაამიდეთ, რომ მალე დაბრუნდებით სახლში! ჩამოთვლილი პირობების შეუსრულებლობის შემთხვევაში მალაზიასთან არ მიიშვებით!



**უპირფასაში მანქანა**

გამოუსწორებელ მწველთა დასახმარებლად ახალგაზრდა კონსტრუქტორმა ნიკო ტინიამ გამოიგონა მეტისმეტად დიდი მოთხოვნილების მანქანა, რომელიც სიგარეტის მწველებს ემსახურება შემდეგნაირად:

1. სწრაფად და დაუზიანებლად შლის სიგარეტს (რა თქმა უნდა, იმ დერებს, რომლებმაც მთელდება მოაღწიეს თქვენამდე), უფრო სწრაფად არჩევს ერთმანეთისაგან ზალახს, თამბაქოსა და ნავაგს (რადგანაც ყველაფერი ეს სიგარეტში ერთი ფერისაა, თამბაქოს შეიცნობთ იმ თვისებით, რომ იგი მუდამ მცირე გროვში იქნება).
2. აუჩქარებლად უსვამს ხარისხიან ნეზოს ხარისხიან ქალაღზე და ამზადებს ასანყობად.
3. ასევე აუჩქარებლად აშრობს ნესტიან თამბაქოს და თუ იმდენ მოთმინებას გამოიჩენთ, რომ აქამდე გაუძლოთ, დატკბებით მისი საამო სურნელებით!
4. ბოლოს თქვენი უმნიშვნელო დახმარებით მაქსიმუმ ოთხი ლერიდან ერთ ნორმალურ სიგარეტს აწყობს.

მანქანა ჯერ სულ ახალია და აქვს მცირე ნაკლოვანებები, რომლებსაც შემდეგში აუცილებლად გამოასწორებს. მანამ კი გირჩევთ: ოპერაციის მსვლელობისას არ შეეხეთ სიგარეტის ფილტრს, თუ ის „კოლხეთია“, თორემ ძვრება და ვეღარ მიაღწავრებთ!

ვინაიდან მანქანა ჩვეულებრივი უსულო რკინა და საკუთარი ჭკუა არ გააჩნია, გამოგონებელი დარწმუნებულია, რომ წინდახედული მწველები წინასწარ მომარაგებენ თამბაქოს შესახვევ ქალაღს, ნეზოსა და ვალიდოლს. ამიტომ იგი ამის შესახებ აღარ გაფრთხილებთ!

შეიძინეთ ახალი მანქანა, იჩქარეთ, სხვამ არ დაგასწროთ!



უსიტყვოდ

# დაელოცები

ექიმი: — ეს ავადმყოფი ერთი კვირის წინ „თეთრი ცხელების“ დიაგნოზით მოიყვანეს საავადმყოფოში, ძილის წინ ეჩვენებოდა, რომ მის ტანზე ჯოჯოკები, გველები, ბაყაყები, ტარაკანები და კირთხები ცოცავდნენ!

პროფესორი: — ახლა როგორ გრძნობს თავს?

ექიმი: — ახლა გაიძახის, რომ ძილის წინ მის ტანზე მხოლოდ ტარაკანები და ვირთხები ცოცავენ!

პროფესორი: — სასწრაფოდ განერეთ! იგი სრულიად გამოჯანმრთლებულა!

— საწყალ ჩვენს ქიმიკოსს ნივთიერების ერთი სახიდან მეორე სახეში გადასვლა გამოეპარა და შეხედე, როგორ გასჩეხია თავი!

— ცდების დროს ხელსაწყო აუფეთქდა?  
— უარესი! ცოლმა პომადა უნახა ლოყაზე და თავზე საფერფლე გადაამტვრია!..

— ამბობენ, მამაკაცები ყვინთვის დროს წყალში თურმე წუთნახევრამდე ძლებენ. საინტერესოა, რამდენ ხანს გაძლებენ ქალები?

— თუ ერთმა ჩაყვინთა, თითქმის იმდენივეს, ხოლო თუ რამდენიმემ ერთად, — გაცილებით ნაკლებს!

— რა მნიშვნელობა აქვს ქალთა რაოდენობას?

— როგორ?! ნუთუ შესაძლებელია, რომ რამდენიმე ქალმა ერთ წუთზე მეტი გაძლოს ჭორის გარეშე?

:-:-

— როგორ ფიქრობ, ჩვენთან მოწვეული ლექტორი ლექციაზე ალკოჰოლიზმის შესახებ გულწრფელად და პირდაპირ ილაპარაკებს თუ გადაკვრით?

— ლექციაზე — ნამდვილად პირდაპირ, ხოლო მის შემდეგ, ბანკეტზე, — გადაკვრით!

:-:-

მწერალი: — შენ ასე ირონიულად ნუ უყურებ, საყვარელო, ჩემს ლიტერატურულ გატაცებას, ჩემში გენიოსის სული თვლემს!

მეუღლე: — ოჰ, ძვირფასო! მე კი ყოველთვის მიკვირდა, თუ როგორ შეეძლო ერთ ადამიანს ასეთი საშინელი ორხმოვანი ხმით ხვრინვა!

ზურაბ ბააშვილი



თუ რომ ვიტყვი, ხომ გვაქვს ამის ნება, ნესრიგისთვის თბილისს ვუძღვნათ ქება: უზადოა საზოგადო კება! აქ ყოველთვის კარგი პური ცხებია! ცუდ ამინდში ყველა ბინა თბება! ონკანები იღებ-იკეტება!

წყალი ნვეთი უქმად არ იღვრება! ნესრიგშია მუდამ განათებაც!.. კარები რომ ღიად დაგვრჩეს დღე-ღამე, — ვერ შეხედონ ქურდებმა თუ მტრებმა, მაგრამ მტერი მეტად რალას გვიმტრობს, დღეს ჩვენს ქალაქს მანქანები იძვრობს: დაუფარავთ მთლად ქალაქის ფართი, შაერს ახშობს მძიმე ბოლქვი მათი! მეგობრებო, შეისმინეთ, მარქვით, სად მიგვიყვანს თავდასხმები მათი? ჩიხში? — ამას აღარ უნდა ახსნას: საჭიროა დროზე ჩიხის გახსნა!..


ტროტუართა მფლობლებს, დროა, ვკითხოთ: ჩვენს ქუჩებს რომ კარგად ცნობენ,

თითქოს, ცხვირს რად ყოფენ მანქანების ზღვაში, მათი რისხვა რად არ უჩანთ თვალში?! გასასვლელებს ვინც არ ეძებს, ვკადროთ: ნესს თუ არღვევს, „ვაშა“ ვუთხრათ ამ დროს?

განვიხილოთ ახლა სათანადოდ, თუ დაშავდით, პასუხი ვინ აგოს?! როს უმსხვერპლო დღეებს აღმოვჩინებთ, ამისათვის მაღლს რად ვწირავთ გამჩენს? მსხვერპლს ვიღებდეთ, რატომ, ვინ გვაძალღებს? —

შევეკითხოთ გონებას და თვალებს! რას მოგვიტანს ხვალის დღე, არ ვიცით, ზრდას განაგრძობს მანქანების რიცხვი, სიგანე კი ქუჩის რჩება ძველი, დღეს გადავრჩით? ნეტავ ხვალ რა გველის?! ამ საშიშ მტერს შევეჭიდოთ მედგრად, თადარიგი თბილისს ვანდოთ ხვედრად, აგვაცილოს მანქანების რისხვას! საბოლოოდ ესლა უნდა ითქვას, რომ ავლაგამავთ ყველგან, შინ და გარეთ, მოხალტურე მანქანების თარეშს, ფათურაკებს რომ გვიმზადებს მთელ რიგს და ხელს გვიშლის, ვამყარებდეთ ნესრიგს! პარაზიტებს ვამრავლებდეთ? — რისთვის? შევამციროთ მანქანების რიცხვი ორჯერ? სამჯერ? საჭიროა ათჯერ, მხოლოდ მანვე ზედმეტების ხარჯზე!

ეკიზანე ცინცაძე





ცირკში ვზივარ, მაგრამ ვიჯდე რაა!.. ჩემი ნებაა და არ გავიცინებ!.. ვუყურებ კია, მაგრამ თვალებს არ ვუჯერებ და ეგ არი!

ერთი რო გავალო პირი და გავიცინო, მაშინვე დავიცლები ბოღმისაგან, შოდა, იმიტომაც არ ვიცინი. უფრო კი ამ ჩვენი პროფორგის ჯიბრთა.

ამ მუდრეგებს რაღა ეცირკებათ — მხერხავ კოლასა ან დურგალ აბრისა, ან სანყოფის გამგე ბოჩისა?!. ეს მშვენიერი საღამო გავაგვადინებს სისულელეების ცქერის გულითვინა! რამდენ ფიცარსა და „ზაგატოვკას“ გავზიდავდით კომბინატიდანამე, მაგალითად, ერთ სამ რეისს მაინც გავაკეთებდი — ცალკე საძრომელა რო მიაქ ბეტონის კედელში გაკეთებული, იქიდან გავყრიდი ფიცრებსა!.. ამათ კიდევ აქა, შუაში ჩამსვეს, მომმარაგებელი ხარ, სიცილით უნდა მოგვაძარაგოო!.. მეტი არ არი ჩემი მტერი!..

რამდენი ვეხვეწე ჩვენს ცხვირა პროფკომსა, არ მინდა ბილეთი-მეთქი, რანაირათ არ ავუსხენი, მაგრამ ვერ შევასმინე! სოფლელი კაცი ვარ, ცხოველების სანახავად ცირკში რო არ წამოვიდე, სახლში ცოტა მყავ-მეთქი?! არაო, მაინც უნდა წამოხვიდეო, ღონისძიებით მეთვლებო!

შოდა, ვსხედვართ გულხელდაკრეფილები, რომელიც რომა ახლა გაქანებულები ფიცრებს უნდა ვარჩევდეთ და ხვრელების-კენ ვეზიდებოდეთ!..

გამოდინ ჯამბაზები, მალაყებს გადადიან გაჭიმულ თოკებზედა, — აინუნში არ

# წიგნის წიგნი

## ნოველა

ვაგდებ, გამოდიან კლოუნები, — არ მეცინება. ჩემი ძმაკაცებიც დაბოღმილები სხედან.

გამოვიდნენ კატები, ძაღლები, თხები, ერთი ჩემ ბოტალას მივამგვანე და შინისაკენ გამიქანდა ფიქრი!..

ბოლოს მაიმუნები გამოვიდნენ. ჩვენი პროფკომი უკანა რიგში იჯდა, გრძელი ცხვირი ჩემს მხარზე ედო და მოშლილი მიკროფონით სტვენდა, მთავარი სანახაობა ახლა იწყებო, გაგვაფრთხილა, არაფერი გამოგრჩეთო!..

არენაზე კი არც მეტი არც ნაკლები — ჩვენი ხე-ტყის დამამუშავებელი კომბინატის სამხერხაო იყო მოწყობილი, მხოლოთა ადამიანების მაგიერათა მაიმუნები მუშაობდნენ. სპეცხალათები ეცვათ და ხელჯაგები ეკეთათ თათებზე. მორი შეაგდეს ურიკაზე, ჩაჩანგლეს და თოკით გასწიეს. მხერხავი მაიმუნი ავლარიქა კოლასავით ირჯება, დანარჩენებსა ხელმძღვანელობს, ხან რას ანიშნებს თათითა, ხან — რასა; მეორე დურგალ აბრისავით არჩევს ფიცრებსა, ერთი კიდევ არშინით ხელში დადის და ქალაღზე ზომებს ინერამს, ეტყობა, ჩვენი ბოჩისა მაგიერობას ეწევა — სანყოფის გამგეა.

— აგერ ის კი ნაღდი მომმარაგებელია! — ბოჩიამ ერთი ტოტყი მაიმუნისაკენ გამახედა, რომელიც მორს მოაგორებდა ხერხისაკენ.

ამის გაგონებაზედა ყველას სიცილი წავსკდა და ხელდახელ დავიცალენით ბოღმისაგან, შავსუმბუქდით.

არენიდან სამუშაოს დამთავრების სიგნალი მოგვესმა. მაიმუნებმა სამუშაო აღგვილი დაასუფთავეს, სპეცხალათები გავსწიეს, გაკოხტავდნენ და კრახადროხვენს წავიდნენ. ხვრელები განგებ ჰქონდა დატანებული საქმიანი ეზოს კედლებს, მაგრამა არც ერთმა მაიმუნმა არ იკადრა იქ გაძრომა და ფიცრების გაპარება!..

ჯერ მე და აბრიათ შევხედეთ ერთმანეთსა, მერე — მე და კოლამ, სულ ბოლოს ბოჩისა გადავუჯვარედინე მზერაი და ასე ჩაბოლქილები ვისხედით კარგა ხანსა.

— აი, ხედავთ, რა მაღალია მათთან წარმოების კულტურა! — ცხვირთ მაიმუნებისაკენ მიგვანიშნა პროფკომმა. — აბა, თუ რომელიმე ნაუცდეს ხელი საზოგადო საკუთრებაზე! ნამდვილ ადამიანებს ბაძავენ, გაგებულ ხალხად მოაქვთ თავი, ჩვენ კი ხალხი ვართ და ვმაიმუნობთ!..

მე და ჩემი ძმაკაცები ისევ დავიბოღმენით, ოღონდ ცოტა ხნითა.

ცირკი რო დამთავრდა და გარეთ გამოვედით, ახლა უკვე ხმამაღლა გვითხრა პროფკომმა, ახლა ხო გასაგებია, როგორ უნდა ვიმუშაოთ.

— გასაგები მაშინ იქნებოდა, უფროსის მოთხოვნილობა რო ეჩვენებინათ! — ყველას გულსინაღებს სარქველი ახადა ბოჩიამა.

პროფკომს აღარაფერი უთქვამს, მხოლოდ ჩახველა და ამაზე მივხვდით, რომა ახლა ის დაიბოღმა.

## ელაზუჯა მირაბიოვილი




ნ.ბ. ბ. შუბაშვილისა



უსიტყვოდ



ბ.გ.



ზოგიერთ საავადმყოფოში

— ისე მიდის შენი საქმე, მგონი, გამზრ-  
დელი ბიძის დასაფლავებამდე ვერ ჩახვალ  
სოფელში!.. ე, მაშინ ნახე თავის მოჭრა და  
სირცხვილი!..

— კი მაგრამ, ბიძაჩემი ხომ ცოცხალია?

— რაღა ცოცხალია, კბილით უჭირავს  
სული, ან დღეს წაიღებს წერილს, ან ხვალ!..  
შენ კი დღეს და ხვალ კი არა, ღმერთმა  
იცის, როდის გელირსება ლაიკის პალტო!

— ნუ გეშინია, ბიძაჩემს ჯერ არაფერი  
სჭირს სასიკვდილო, ცოტა ხანში მეც და-  
მადგება საშველი!..

— შენი ლაიკის პალტოს ყიდვას თუ  
უყურა ბიძაშენმა, იცოცხლე, კარგა ხანს  
არაფერი მოუვა!..

— ჰოდა, ღმერთმა ნუ დამართოს კარგა  
ხანს ნურაფერი!

— კარგი, ბატონო, ვთქვათ, ბიძაშენმა  
რაღაც სასწაულით გაიძვრინა ამ გაზა-  
ფხულს თავი, თეკლეს გარდაცვალების დე-  
პეშა რომ მოგივიდეს, რას შერები მაშინ?!  
გგონია გადარჩება?

— ღმერთმა ჯანი მისცეს თეკლეს, მაგ-  
რამ რა ჭირს გადასარჩენი?

— ვითომ არ იცი, სიმსივნე რომ აღ-  
მოაჩნდა მაგ უბედურს, ჩამოდნა ადა-  
მიანი!..

— მაგას ხომ კეთილთვისებიანი სიმსივნე  
აქვს, თავს თუ მოუარა კარგა ხანს გაძ-  
ლებს!

— რა თავის მომვლელია თეკლე, წე-  
ლიწადში ერთხელ თუ ჩააკითხავენ ქალა-  
ქიდან!..



— ბუხუ ერთი თვე როგორმე გაიტანს  
თავს და მერე დათბება კიდეც, არ დამ-  
ჭირდება პალტოს ჩაცმა. ბოლოს და ბო-  
ლოს, რაიონის მთავარ ექიმს ვიცნობ, ერ-  
თად ვიყავით ჯარში, ვთხოვ და მაგ ჩემი  
ცოდვით საესეს, ერთ თვეს როგორმე გა-  
აძლებინებს!..

— მაგის იმედი გქონდეს შენი!.. ამასობა-  
ში ქე შემოგეცლება ირგვლივ ყველა!.. და-  
აყენე საშველი, ისესხე ფული და იყიდე ეს  
დასანავი ლაიკის პალტო, მერე თუნდაც  
მთელი ქვეყანა ამოხოცილა!..

წომადი ბართაია


— რაც თავი მახსოვს, თეკლე სულ ასეა,  
ამ გაზაფხულსაც გაძვრება როგორმე!..

— ვთქვათ, მოხდა სასწაული და მართლა  
გამოიზაფხულა მაგ საცოდავმა, მაინც არ  
აგცდება სოფელში ჩასვლა, ინფარქტმა და-  
არტყა ამას წინათ ჯაკუს, ამ ქვეყნის არა-  
ფერი სცბია!..

— ჯაკუს რაღა ახლა წაენწყმიდება სული,  
ექიმები მას ახვევია თავს და მოვლა-პატ-  
რონობა არ აკლია. შარშანაც კი ამბობ-  
დნენ, მორჩა ჯაკუს საქმეო, ბარე ორმაც  
კი იყიდა ლაიკის პალტო, მაგრამ ჩაუვარ-  
დათ კოვზი ნაცარში! შეჩვეულია ეგ ინ-  
ფარქტს!..

— ბუხუც ხომ არ არის შეჩვეული ცე-  
როზს? ნუთებილა აქვს დარჩენილი საბ-  
რალოს!..





უსიტყვოდ

### მიხვედრილი ღირეპტორი

- აქ რას უდგახართ, მეგობარო?
- ისე... მოვლენებს ვეძებ.
- თუ შეიძლება, გაგვანდვეთ, რა მოვლენებს ჩვენც ხალხი ვართ!
- ვითომ არ იცით! ნეგატიურს, რა თქმა უნდა! მაღაზრიაში სხვა რა მოვლენები შეიძლება იყოს?
- მერე, ნახეთ?
- ყოველ შემთხვევაში, კვალი ნათლად ჩანს!
- საით მიდის?
- ვითომ არ იცით! დახსკევეშისაკენ!..
- გულთმისანი ბრძანებულხართ! პირდაპირ გადასარევი! ისე, გამოგიტყდებით, ღლეს მანდ საინტერესო ბევრი არაფერია. წამობრძანდით ჩემთან, კაბინეტში შევიდეთ, თვითონ გიჩვენებთ, რაც გაინტერესებთ, თქვენ რატომ იწუხებთ თავს?
- მაღლობა ღმერთს, ძლივს არ მიხვდა!
- რა ბრძანეთ?
- ისე, ჩემთვის ჩავილაპარაკე!..

გორის ნანიტაშვილი



კითხვა: მსურს წონაში დაკლება, მაგრამ დიეტამ არ მიშველა. როგორ მოვიქცე?

ნ. მსუქნიშვილი

პასუხი: ხშირად იმგზავრეთ სამარშრუტო ავტობუსებით, განსაკუთრებით — პიკის საათებში!

კითხვა: ვარ ოცდათხუთმეტი წლის, ვცხოვრობ მშობლების ხარჯზე, ისინი მთხოვენ, ცოლი შეირთე და შეილებსაც ჩვენ დაგიზრდითო! როგორ მოვიქცე?

გ. ქალებს გადაყოლილი

პასუხი: დათანხმდი იმ პირობით, თუ თავის დროზე შვილიშვილებსაც გაგიზრდიან!

კითხვა: ვეძებ საცოლეს, რომელსაც ექნება საკუთარი ბინა, მდიდრული ავეჯი, ყოლება მდიდარი მშობლები. რას მიჩვენო?

ფ. მოლოდინაშვილი

პასუხი: ვერაფერს, რადგან არ ვიცით, ქალს ეძებთ თუ ქონებას?!

კითხვა: ვსწავლობ მეხუთე კლასში. მშობლები ერთდროულად ხუთ სხვადასხვა წრეში მატარებენ, რის გამოც გაკვეთილები მომზადებასაც ვერ ვასწრებ. რა ვქნა?

მ. მოუცლელი

პასუხი: თქვენს მშობლებს გადაეცით, რომ ბავშვობას თავი დაანებონ და თქვენ დაგიზრდონ ის!

კითხვა: სამსახურში არ მაჩერებენ, რადგან ერთ ადგილზე ვერ ვჩერდები. როგორ მოვიქცე?

თ. თავგასული

პასუხი: შიკრიკად დაიწყეთ მუშაობა!

კითხვა: ვარ ორმოცდაათი წლის, მაქვს ათოთახიანი ბინა, მყავს მსუბუქი ავტომანქანა, ვაპირებ ცოლის შერთვას, შევირთო თუ არა?

ბ. ბერბიჭაშვილი

პასუხი: ცოლის შერთვა თქვენთვის უკვე გვიანია, მომგელი დაიქირავეთ!

კითხვა: მაქვს მუშაობის ხუთი წლის სტაჟი. სამსახურში ხელს არავის ვუშლი, არც მე ვაკეთებ არაფერს. მიუხედავად ამისა, უფროსებისგან მიღებული მაქვს შვიდი გაფრთხილება და თორმეტი საყვედური. ვარ თუ არა ყოველივე ამის ღირსი?

გ. გამოუსწორებელი

პასუხი: თქვენ არაფრის ღირსი არა ხართ, თქვენი უფროსები კი ყველაფრის ღირსნი არიან, ამდენ ხანს რომ გაჩერებენ სამსახურში!

კითხვა: მყავს ავადმყოფი, რომელიც არც ჩემს მითითებებს იღებს და არც — ნამლებს, იმ მიზნით, რომ ბიულეტენი გაიგრძელოს. რა ვიღონო?

ე. ავადმყოფს გადაყოლილი

პასუხი: სათანადო ადგილას ვაცნობებთ და იქ უმკურნალებენ, როგორც საჭიროა!

კითხვა: შვიდი მანქანა გამოვიცვალე (ყველა სიმთვრალეში დავამტვრიე), მაქვს თუ არა უფლება, ახალი მანქანის შეძენისა?

შ. გიჟმაჟური

პასუხი: მანქანის შეძენას არ გირჩევთ, სჯობს ჭკუა შეიძინოთ!

კითხვა: (უნაყოფ ვიტანეებით), რადგანაც წყალი არ მოდის. გვიშველით რამეს?!

წყალსადენის ქუჩის მცხოვრებნი

პასუხი: ჩვენ თვითონ არ ვიცით, რა წყალში ჩავვარდეთ, რადგან არც ჩვენთან მოდის წყალი!

კონსულტანტი ალმანჯორ თავაძე

# ქვეყნობა...

ოყ!!

...თავისუფლება!

...ქვეყნობა!

- ამ დღეებში ჩვენი ქალაქში ჩატარდა ფელეტონისტთა და დრამატურგთა დიდი სიმპოზიუმი, რჩმელმაც კიდევ ერთხელ ნათელყო, რომ ჩვენი ფელეტონისტები და დრამატურგები გვყავს!
- თუ თქვენი შვილი აგვიანებს საბავშვო ასაკიდან გამოსვლას, ნაუკითხეთ ზოგიერთი ჩვენი საყმანეილო პოეტის ლექსები!
- ერიდეი კონფლიქტს მეჩაიებთან — ხელის ერთი გაქნევა და თმის ღერიც არ შეგრჩებთ თავზე! რაც მთავარია, ჩაის ფაბრიკები დაუყოვნებლივ ჩაიბარებენ და გადაამუშავენ ახალ ნედლეულს!
- ფარმის მუშაკებმა თუ ზამთრისთვის დროულად ვერ მოიმარაგეს ნამჯა და თივა, ნუ შეშფოთდებიან, იყიდონ სიგარეტები: „ლუქსი“, „მზიური“, „დედფინი“, „ასტრა“, „პრიმა“ და ა. შ.
- თუ მძლოლი თავაზიანი ღიმილით გადმოვიდა „ტაქსიდან“, გაგილოთ კარი და სალონში შეგებატიუათ, არავითარ შემთხვევაში არ ენდოთ! — დამხმსსოვრეთ მანქანის ნომრები და შეატყობინეთ მილიციას! — იცოდეთ, აქ რაღაც საეჭვოა, ასე მხოლოდ დეტექტურ ფილმებში იქცევიან!
- ნუ შეეცდებით, აანყოთ თბილისური გიტარა, — უფრო რეალურია, აანყოთ თქვენი ცხოვრება!
- ნამწვის გამონაბოლქვი საუკუნის პრობლემაა, მაგრამ არა უშავს! — როგორც მეცნიერები ვარაუდობენ, 30-40 წელიწადში პლანეტაზე საერთოდ გამოილევა ნავთობის, ქვანახშირის, გაზის მარაგი და ყველაფერი მისით მოწესრიგდება!
- ლამაზი ქალიშვილები ქუჩაში ხულიგნებისა და სხვადასხვა ჯურის აბეზარებისაგან საიმედოდ დაცულნი რომ იყვნენ, ვურჩევთ, შინიდან გასვლისას დაისხურონ სამამულო წარმოების ზოგიერთი სუნამო!
- თუ გსურთ, რომ თქვენს ბავშვს მყარი ფსიქიკა და მშვიდი ძილი ჰქონდეს, ნუ გაატარებთ მას იმ ვიტრინებთან, სადაც ადგილობრივი წარმოების თოჯინებია გამოფენილი!

ჯაჯა ჭინჭაძე

ნახ. მ. აბაშიძისა



— ასე ჩქარა დაამთავრეთ თათბირი?  
— ახლა, გენაცვალე, დაჩქარებით მიდის ყველაფერი!

## უზრომელ შემოსავლიანები

ზღვა, მთის კურორტი და აგარაკი...  
რა ფუსფუსი და ფართიფურთია!..  
მათ ეშინიათ მისი დაკარგვის,  
ჭინჭში მალავენ, ძონძში ფუთიან!..  
კარებს კეტავენ ათი ბოქლომით,  
ფანჯრებს ავლებენ რკინის გისოსებს, —  
არ გაიტაცოს ქურდმა როგორმე  
მათი ძვირფასი განძი — სიცოცხლე!..  
არ უცხოვრიათ ვნებით ნამდვილით,  
ერთი დღე-ღამე არ უცხოვრიათ!..  
მსუყვე საუზმე, მსუყვე სადილი,  
ვანშმად — შიში და მელანქოლია!..  
ანონილი აქვთ სიტყვა ყოველი,  
ფიქრობენ ერთს და სულ სხვას ამბობენ!..  
საშიშროება ხომ არ მოეღის  
მათი სიცოცხლის ადგილსამყოფელს?!  
ზურგს შეაქცევენ საკუთარ ტაძარს  
და სხვის ტაძრებში ანთებენ სანთლებს!..  
ოღონდ ის ჰყავდეთ თბილად და მაძლრად,  
კარგად ჰყავდეთ და ჯანმრთელად  
ჰყავდეთ!..  
არ შერჩენიათ გრძნობა სირცხვილის,  
არც აღტაცება, არც შთაგონება!..  
გეცოდებოდეთ მუდამ ისინი,  
ვინც ამ სიცოცხლის იქცნენ მონებად!

ვახტანგ ხარჩილავა

1985 წლიდან 40 მკუხანას 80 პროცენტით შეუმცირდა ამერიკული დახმარება. ისრაელი მას შეუზღუდავად ღებულობს.

განათმეობა



ისრაელის სამხედრო წინხვილს „შხალი“ არ აკლდება!



სატირისა და იუმორის შურალის „წიქლი“ № 18 (1767). ევლისი გამოცემის 1923 წლის ივნისიდან.

მთავარი რედაქტორი ზაურ გოლფაძე

სარედაქციო კოლეგია:

ავთანდილ ადიშვილი (პასუხისმგებელი მდივანი), ჭახუა ამირჩიხი, ნომადი ბართია, ბორის გურგუთია, რევაზ თვარაძე, ჭემალ ლოლუა, ნოდარ მელაშონია (მხატვარ-რედაქტორი), ალექსანდრე სამსონია, ხეივან სიხარულიძე (მთავარი რედაქტორის მოადგილე), ჯანსუღ ჩარკვიანი, თამაზ წიფიძე, ნათი ჭუსოთი.

ტექნიკური რედაქტორი ირაკლი დუნღუა

გადამცემი ასაწყობად 3. 06 88 წ. ხელმოწერილია დასაბეჭდად 11. 07 88 წ. ქალაქის ზომა 60x90/8, ფიზიკური ნაბეჭდი ფურცელი 1,5. სააღრიცხვო-საგამომცემლო თაბახი 1,9, საქართველოს კავშირის გამომცემლობა. ლენინის 14, შეკვ. 1477 უფ. 04780 ტირაჟი 139000 ეურნალი გამოცემის თვეში ორჯერ. რედაქციაში შემოსული მასალები ავტორებს არ უბრუნდებათ.

ჩვენი მისამართი: 880008. თბილისი-8, რუსთაველის პროსპექტი № 42.

ტელეფონები: მთავარი რედაქტორის — 99-55-54, მთ. რედ. მოადგილის — 93-19-42, პ/მ მდივნის — 93-10-78, მხატვარ-რედაქტორის — 99-02-38, განყოფილებათა გამგეების — 93-49-32, რედაქტორ-ლიტმუშაების — 99-02-38, მდივან-მემაწიანის — 99-76-69.

Сатирико - юмористический журнал «НИАН-ГИ» (На грузинском языке). Тбилиси, пр. Руставели № 42. Издательство ЦК КП Грузии, Ордена Трудового Красного Знамени типография издательства ЦК КП Грузии, Тбилиси, ул. Ленина № 14.

